

**უნივერსიტეტების მხარდამჭერი მექანიზმები დაბალი სოციალურ-  
ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის: პრაქტიკა და  
ბარიერები**

**სოფიკო სხირტლაძე**

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების  
ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

**განათლების ადმინისტრირება**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2021**

## განაცხადი

როგორც წარგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორები მიერ, აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო სხირტლაძე

01.02.2021

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდამჭერი მექანიზმები დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის და იკვლიოს ის ბარიერები, რომლებიც არსებობს მხარდამჭერი სერვისების განხორციელებისას. საკითხის შესასწავლად ჩატარდა თვისებრივი კვლევა, კერძოდ კი, დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ. დოკუმენტების შესწავლისას, გაანალიზდა უნივერსიტეტების სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების დახმარების წესი და, აგრეთვე, რამდენიმე უნივერსიტეტის ფინანსური დახმარების დოკუმენტი. საკითხის მიზნის შესაბამისად, ინტერვიუები ჩატარდა უმაღლესი განათლების ავტორიზაციის ექსპერტებთან, უმაღლესი განათლების პოლიტიკის შემმუშავებლებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელთან. კვლევამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის არ აქვთ მრავალფეროვანი სერვისები და ისინი ძირითადად მოცავს ფინანსური დახმარების სქემებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ მატერიალურ, ტექნიკურ და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობას ყველა სტუდენტისათვის. რაც შეეხება ბარიერებს, უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელი და საჯარო უნივერსიტეტების შეზღუდული ფინანსური ავტონომია წარმოადგენს მთავარ ბარიერებს სერვისების განხორციელების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, სოციალურად შეჭირვებული სტუდენტი, დახმარების მექანიზმები

## **Abstract**

The aim of the following study is to explore the support mechanisms of higher education institutions for students with low socioeconomic status and to explore the barriers that exist in the implementation of the services. Qualitative research was conducted in order to study the issue, specifically, document analysis and in-depth interviews. In reviewing the documents, the role of assistance to socially vulnerable students of universities was analyzed, as well as the financial assistance document of several universities. According to the purpose of the issue, interviews were conducted with higher education authorization experts, higher education policymakers, and a representative of a higher education institution. Research has revealed that universities do not have a variety of services for students with low socioeconomic status, and they mostly address financial aid schemes. In addition, universities manage to provide access to material, technical and teaching materials for all students. As for barriers, the higher education funding model and the limited financial autonomy of public universities are major barriers to service delivery.

Keywords: low socio-economic status, socially disadvantaged student, support mechanisms

## **მადლობა**

მადლობას ვუხდით ჩემს თავს ნაშრომზე მუშაობისთვის.

მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, თამარ ბრეგვაძეს.

მადლობას ვუხდით ლელა ჩახაიას მასალების გაზიარებისთვის და ჩემს მეგობრებს მოკითხვისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემს რესპონდენტებს კვლევაში ჩართულობისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარებისთვის.